

შოთა ჩანტლაძე: ქუჩებისა და ბაღების პოეტი Shota Chantladze: The Poet of the Streets and Gardens

პოეტისა და მთარგმნელის, გივი შაჰნაზარის, სიტყვებით (მწერალთა სახლი, 2018), ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში ურბანიზმი არავისთან არ არის ისეთი ძლიერი და ხაზგასმული, როგორც შოთა ჩანტლაძის შემოქმედებაში. გადაჭარბებული არ იქნება, ქალაქური ყოფის ამგვარ, ძლიერ და ხაზგასმულ, გამოვლინებას შემდეგი ფორმულირება მოვუძებნოთ, რომ ქალაქზე კი არ არის შოთა ჩანტლაძის ლექსი, არამედ შოთა ჩანტლაძე ქალაქს აქცევს ლექსად.

ქალაქის ლექსად, ტექსტად ქცევა, პირდაპირი გაგებითვე, ქალაქის წაკითხვას გულისხმობს, ურბანიზმისაგან განუყოფელ ნიშანთა გაშიფვრასა და ქალაქური ყოველდღიურობისაგან შემოთავაზებული გამოცდილების ამოკითხვას. ქალაქის ტექსტად ქცევა ნიშნავს „მის გააზრებას, მის განცდას, მის გზა-კვალის ამრევ ლაბირინთებთან გაშინაურებას“ (ფირცხალავა, 2022, გვ. 2).

ქალაქის ხატი ინდივიდის მონაწილეობის, პერსონაჟის შინაგანი და გარეგანი სივრცეების თანხვედრის გარეშე ვერ შეიქმნება. ამგვარადვე, შოთა ჩანტლაძის ურბანული პოეზია პოეტის უშუალო მონაწილეობის, ყოველივეს შუაგულში ყოფნის გარეშე არ არსებობს. მის პოეზიაში ნაკლებად ვხვდებით არქიტექტურული ელემენტების თავმოყრას, თბილისელთა სახეების შექმნას, ანდა დედაქალაქის სიმბოლოებად ქცეულ (მაგ: მტკვარი, მთაწმინდა, ძველი თბილისი) პეიზაჟთა მონუმენტიზაციას. მისი ლექსები ეყრდნობა ქალაქის წაკითხვის განსხვავებულ წესს - საკუთარი, პირადი, ყოველდღიური გამოცდილების ასახვას, რომელშიც თავისთავად და ბუნებრივად იყრიან თავს ქალაქელი პერსონაჟები (ზოგჯერ უპიროვნოები, ზოგჯერ სახელდებულები), ადგილები, მარშრუტები, ტრანსპორტი, ქალაქური სიტუაციები. მისი შემოქმედების ქალაქური ნიმუშები ხშირად პასიურ, დამკვირვებლურ გამოცდილებას ეყრდნობა, შთაბეჭდილებათა

მისაღებად ხელსაყრელი მდგომარეობა კი უსაქმო, დროის გაყვანის მიზნით ხეტიალია (მაგ: ლექსები: „ხანდახან უმიზნოდ გამოხვალ სახლიდან“ (1957), „საათი“ (1957)), თუმცა პოეტს, აგრეთვე, შეუძლია გამოვიდეს პასიური დამკვირვებლის როლიდან და თავად მოგვევლინოს ყოვლისმცოდნე გონებად, მეხსიერების საცავად, რომელშიც ინახება ქალაქის ყველა პროსპექტის, ქუჩის, ჩიხის, მოედნის, ბაღის, ქალაქის მცხოვრებთა შესახებ ინფორმაცია („ჩემი მაგიდის წიგნი“ (1958)).

შოთა ჩანტლაძე რომ თბილისს ლექსად აქცევს, ამ განაცხადის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი დასტურია 1958 წლით დათარიღებული ვრცელი ლექსი „ჩემი მაგიდის წიგნი“, რომელშიც პოეტი მკითხველს ქალაქის წაკითხვას როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით სთავაზობს. ლექსში ავტორი მოიხმობს ქართული მხატვრული ლიტერატურისათვის სრულიად უნიკალურ, ქალაქისა და წიგნის სტრუქტურული იგივეობის, პარალელს: „ეს ქალაქი ჩემთვის წიგნია“ - ვკითხულობთ გამხსნელ სტრიქონში. მიწა და ზეცა (რომლის პირობით საზღვრებში მოქცეულია ქალაქი - როგორც სამყარო) წიგნის ყდებია, ჩიხები - ეპიგრაფები, პროსპექტები - წიგნის ნაწილები, ქუჩები - თავები, შესახვევები - ქვეთავები, მოედნები - ცარიელი ადგილები წიგნის ფურცლებზე, ბაღები - მხატვრობაა, დასურათება წიგნისა, ქალაქის მცხოვრებნი - თავისუფალი ლექსის სტრიქონები, რომლებიც „... არ არიან ერთმანეთთან გარითმულნი, / მაგრამ მკაცრი აუცილებლობით / არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან“ (ჩანტლაძე, 2010, გვ. 120). ისევე როგორც ურბანული მხატვრული ნაწარმოები, რომელიც მკითხველისგან ქალაქში გაბნეული ნიშნების წაკითხვის უნარის გამომუშავებას მოითხოვს, პოეტი თბილისში სიარულს „დედა ენის“ კითხვას ადარებს, როდესაც ბავშვი ასოების ცნობას, დაწერილის ამოკითხვას სწავლობს:

*„მახსოვს, დავდიოდი ამ ქალაქში პატარა ბავშვი
და ვკითხულობდი თვალებით ქალაქს,
და დავატარებდი ფეხებს ამ ქალაქში
ნელა და შეჩერებით,
როგორც დედა-ენის სტრიქონებზე ნელა და შეჩერებით
დავატარებდი თითებს“ (2010, გვ. 120).*

შოთა ჩანტლაძე ქალაქში მოხეტიალე პოეტია, რომელიც ქუჩების ვიზუალურ და ხმოვან გამოცდილებას ჯერ თავად კითხულობს, პოეტურ ფიქრად გარდაქმნის და შემდეგ ამ გამოცდილებას ტექსტად აქცევს. მისთვის ქალაქი ერთდროულად დასაწერი და მრავალჯერ წასაკითხი წიგნია: „მე ღმერთმა მომისაჯა ამ წიგნის ყოველდღე კითხვა. / ეს წიგნი ჩემი მაგიდის წიგნია“ (2010, გვ. 121).

გივი შაჰნაზარი წერს: „როცა სევდა მოეძალებოდა, როცა მეღანქოლის “შავი ფრინველი” სულში ჩაეჭრებოდა, დილიდანვე იცოდა ქალაქში გამოსვლა, მოედებოდა ქუჩებსა და მოედნებს, ბალებსა და პარკებს და გვიანობამდე შინ არ შედიოდა. იტყოდა ხოლმე, თუ გვარიანად არ დავიღალე, კარგად ვერ დავიძინებ და კოშმარის „წითელი ეშმაკუნები“ მოსვენებას არ მომცემენო... გარკვეულად წარმოდგენილიც კი მაქვს, „ჩემი მაგიდის წიგნი“ როგორ იწერებოდა. ეს ვრცელი ლექსი, ალბათ, მისი ასეთი „ხეტიალის“ დროს თუ იბადებოდა – სტრიქონ-სტრიქონ, თანდათან“ (შაჰნაზარი, 2011, გვ. 1).

„ქალაქის იდუმალი ხმების მოყურიადე, მისი ტკივილების მოზიარე, ქუჩების ანბანის წამკითხველი“ - ამგვარად მოიხსენიებს შოთა ჩანტლაძეს პოეტი და მთარგმნელი ჯარჯი ფხოველი კრებულის „100 ლექსი“ წინასიტყვაობაში (ჩანტლაძე, 2010, გვ. 4). მჭიდროდ დაახლოება, დამეგობრება ქალაქთან განაპირობებს ქალაქის ტექსტად გარდაქმნის იმგვარ სიადვილეს პოეტისათვის, რომ როგორც ლექსის მომდევნო სტრიქონები გვამცნობენ, ქალაქის ყოველდღიურობის აღსაქმელად, ქუჩებში, შესახვევებსა თუ ჩიხებში მიმდინარე ამბების გასაგებად, პოეტს აღარც კი სჭირდება ფიზიკურად ქალაქში გადაადგილება, არამედ მას გონების ძალით შეუძლია სრული სიცხადით აღიქვას ქუჩებში მომხდარი, ისევე როგორც წიგნის გადაუშლელადაა შესაძლებელი უკვე მრავალჯერ წაკითხულის გონებაში აღდგენა. გარდა ამისა, ქალაქის „წასაკითხად“ ქალაქში ხეტიალი საჭირო აღარაა, რადგან აქ ყოველი დღე ერთმანეთს ჰგავს, მოსაწყენ დღეს ანაცვლებს მოსაწყენი ღამე. პოეტი ვერ ჰპოვებს მძაფრ შეგრძნებებს, როგორებიცაა სიხარული, მწუხარება, სიყვარული, სიძულვილი, არამედ მასში გამეფებულია დუნე მდგომარეობა: „ვეებერთელა, ამ ქალაქის ხელა მოწყენილობა“ (2010, გვ. 121).

ქალაქის ენის მკითხველი ავტორი სვამს შეკითხვას: „ვინ დაწერა ეს დამტანჯველი წიგნი? ვინ არის ამ წიგნის იდუმალი ავტორი?“ (2010, გვ. 121). მკითხველის გონებაში ქალაქი ერთდროულად მაკრო და მიკრო კოსმოსებად ფორმირდება. ქალაქი „ჩემი მაგიდის წიგნის“ მაკრო-კოსმოსია, რადგან ლექსის მხატვრული სივრცე ურბანულ საზღვრებშია მოქცეული. ამავედროულად, მაგიდის წიგნთან გაიგივებით, რომლის გადაფურცვლა და დახურვა პოეტის ნება-სურვილზეა დამოკიდებული, ქალაქი იმთავითვე ავტორის გონში მოქცეულ მიკრო-სამყაროდაც მოიაზრება. შესაბამისად, ქალაქის - „მტანჯველი წიგნის“, შემოქმედი თავად შოთა ჩანტლაძეცაა, რომლისთვისაც ქალაქის, როგორც წიგნის კითხვა სასჯელია: „ვინც უნდა იყოს, ეს სულერთია, / მე ვიცი, რომ იგი იტანჯება თავად, [...] იგი დატანებულია ამ წიგნის ყოველ სტრიქონში, / მისი გული ტანჯვით ფეთქს“ (2010, გვ. 121). იზა ორჯონიკიძე წერს: „პოემის ფინალში პოეტის არსებობის რიტმი მშობლიური ქალაქის რიტმს ერთვის, რადგან ამ ქალაქის ცხოვრება მისი ცხოვრებაა“ (ჩანტლაძე, 2010, გვ. 392). „ჩემი მაგიდის წიგნში“ ქალაქის ქუჩები ინდივიდის შინაგან სივრცეებად ტრანსფორმირდება და ქალაქი და პოეტი ერთმანეთისაგან განუყოფელი არსნი ხდებიან.

ინდივიდისა და ქალაქის ურთიერთმიმართების ჩვენება ურბანული ლიტერატურის ერთ-ერთი ძირითადი ასპექტია. ხშირ შემთხვევაში ინდივიდის პერსპექტივის წარმოჩენა, ურბანული ყოფით განპირობებული მდგომარეობის გადმოცემა უპირატესია. განსხვავებულ ხედვას ვხვდებით შოთა ჩანტლაძის პოემაში „ტრამვაის (რეკვიემი)“ (1958), რომელშიც ქალაქის, როგორც ტექსტის, წაკითხვის საშუალება მკითხველს ტრამვაის პერსპექტივიდან ეძლევა.

„ტრამვაის (რეკვიემი)“ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ურბანული პოემაა 50-იანების მიწურულის თბილისის ყოველდღიურ, მოსაწყენ ცხოვრებაზე. პოემის ფოკუსში ქალაქის სიმბოლო - ტრამვაია - მეტალის უსულო ქმნილება. ავტორი ტრანსპორტის, როგორც ტექნოლოგიური პროგრესის პრაგმატული გამოვლინების, სრულიად არაპრაგმატულ პერსპექტივას აღწერს. ტრამვაის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის, ძალიან ცოცხალი სურათის შექმნისათვის პოეტი მას ადამიანისათვის დამახასიათებელ მდგომარეობებს მიაწერს: ის იღვიძებს, ფხიზლდება, ფიქრობს, განიცდის, ნატრობს, იძინებს, ესიზმრება - ე.ი. სულიერი არსების მსგავსად დღე-ღამის სრულ ციკლს გადის.

მთხრობელი, პირველი პირი, ტრამვაის როგორც მეორე პირს ისე მიმართავს, ისაა მისი მონოლოგის ობიექტი: „სხეულში გივლის ჟრუანტელი“, „სხეულში გივლის ჟინი“, „მთვრალი და მშიერი შენ“, „გერევა გული და გამოანთხევ“, „შენ ცხოვრობ ცხოვრებით შინაგანით“, „შენ განიცდი“, „გატანჯული გარბიხარ და დაიგმინებ“, „თქვენში იღვიძებს ხუთი გრძნობა ადამიანის“, „შენ გეზმანება დიდი ქალაქი“, „შენ იტანჯები“... ადამიანები კი, ქალაქის მცხოვრებნი, მესამე პირში არიან მოხსენიებულნი და პოემის მთავარი პერსონაჟის, ტრამვაის, საზღვრებში დატრიალებული ქალაქური დრამის მონაწილე, მეორეხარისხოვან სახეებს ქმნიან.

ქალაქის მოსახლეთა სურათ-ხატებს პოეტი ტრამვაის მოძრაობის ტრაექტორიის მიხედვით გვამცნობს. დილას, როდესაც ჯერ ქუჩებში ხალხი არ მოძრაობს, ტრამვაი სადგურიდან გამოდის მაშინ როცა ქუჩაში მხოლოდ მილიციელია, რომელიც მძინარე ქალაქის ძილს დარაჯობს, ნახევრად მძინარე მეუზოვე და მაღაზიის მთვლემარე დარაჯი, რომელსაც ვიტრინაში გამოდებული ფეხსაცმელი ესიზმრება, ტრამვაიში ჩაძინებული მთვრალი მოქალაქე, რომელიც მეოთხეჯერ უვლის ქალაქს, კონდუქტორი, რომელსაც არ უნდა, რომ მოქალაქეს ტრამვაიში ეძინოს. პოეტი ტრამვაის მთავარ ქუჩად მოიხსენიებს. ტრამვაი, ასევე, იქცევა პოემის კოსმოსად, სადაც ყოველდღიურად ათასობით მოქალაქე, ათასობით ამბავი, იყრის თავს:

„შენში ხდება ამბავი მრავალი,

შენში წყდება მრავალი ბედი,

შენში იკვებება ქურდი თითოსანი,

შენში ნათლდება დოცენტი უვიცი,

შენში ეხება ადამიანი ორი,

შეხებით „შემთხვევით“

და ვერ შეხვდებიან ერთმანეთს სიკვდილამდე“ (2010, გვ. 124).

შოთა ჩანტლაძის ურბანულ გარემოში, 50-იანი წლების თბილისში, სადაც ტექნოლოგიური პროგრესი დაწყებულია, მაგრამ ადამიანი ჯერ „ბრბო-მექანიზმად“ (“human-engine”) არ გადაქცეულა, როგორც ეს ტ. ს. ელიოტის „უნაყოფო მიწაშია“, თავის ადგილზეა მისტიციზმიც და პირველყოფილი საწყისების გამოვლინებაც: „შენ თითქოს პირიდან ბადებ ადამიანებს, / როგორც

პრეისტორიული, ლეგენდარული, / გიგანტური, ხრტილოვანი ცხოველი“ (2010, გვ. 123). ამ სტრიქონით პოეტი მკითხველს პრეისტორიულ, კაცობრიობის განვითარების საწყის სტადიაზე გადაიძახებს. გარდა ამისა, ლექსის ეპიგრაფში, შუა ნაწილსა და დასასრულს ტრამვაისთან ერთდროულად შეპირისპირებული და დაკავშირებული კამეჩები (რომელთა სიმბოლიზმი ქალაქისაგან, ერთი შეხედვით, განყენებულია) შემოჰყავს პოეტს იმ თვალსაზრისით, რომ კამეჩებსა და ტრამვაის საერთო ბედი აქვთ: უღლის/მავთულებს ქვეშ დგომა და მოძრაობა.

პოემის სათაურში ფიგურირებს სიტყვა რეკვიემი. სამგლოვიარო მუსიკალური ნაწარმოების ასოციაცია, მკითხველს იმთავითვე მინორულ განწყობის უღვიძებს. პოემაში ვხვდებით კიდევ გარდაცვალებას, მოქალაქისას, რომელიც ტრამვაიმ იმსხვერპლა, თუმცა სამგლოვიარო განწყობა მოქალაქის სიკვდილთან არ არის დაკავშირებული, არამედ ტრამვაის მიემართება. მალხაზ ხარბედიას ესსეში „ბალი და ხეტიალი“ ვკითხულობთ: „ლექსი [...] იწყება ობიექტის (ტრამვაის) გარდაცვალებით, ანუ მისი არსებობის ფორმის შეცვლით – ეს „რკინის კამეჩი“, ეს მექანიკური „გამწევი ძალა“, მას შემდეგ, რაც მას „რელსებიდან გადმოაბრძანებენ“, ახალ ცხოვრებას დაიწყებს და გრძელ ბოსელში კამეჩთან ერთად „მიირთმევს თივას““ (ხარბედია, 2017, გვ. 11). მაშასადამე, სულის მოსახსენებელი, სამგლოვიარო განწყობა აქ არსებობის ერთი ფორმით მეორეს ჩანაცვლების, არსებობის გაუქმებითაა გამოწვეული: კამეჩები ტრამვაიმ ჩანაცვლა და სწრაფი ტემპით ცვალებად ურბანულ გარემოში მალე ტრამვაისაც სხვა რამ ჩანაცვლებს. ამ შემთხვევაში, გაცვეთა, სარგებლიანი ფუნქციის დაკარგვა შოთა ჩანტლადის მიერ გაპიროვნებული ტრამვაისათვის გარდაცვალების ტოლფასია. ფუნქციაჩამოშორებული ტრამვაი აღმოჩნდება მოფუსფუსე ცხოვრების მიღმა, ბოსელში თივის მღეჭავი კამეჩების გვერდით, რომელთა ადგილი ქალაქში აღარ მოიძებნება. კამეჩია მეტაფორულად წარსულიც, რომელიც ადამიანმა უკან მოიტოვა და მისი ფუნქცია ტრამვაიმ იკისრა და კამეჩია მისი მომავალი იმ გაგებით, რომ ადამიანი მას მალე კამეჩის ფუნქციას გააზიარებინებს. „და უკან გრჩება შავი კამეჩები, / ვითარცა წარსული / და წინ გელანდება შავი კამეჩები, როგორც მომავალი“ (2010, გვ. 126) - ეს პასაჟი დროის ციკლურობის გამოვლინებაა, სადაც წარსული და მომავალი ერთმნიშვნელოვნდება.

მაღბაზ ხარბედია ერთ მნიშვნელოვან დეტალსაც უსვამს ხაზს (ხარბედია, 2017, გვ. 11), რომ „ტრამვაი“ ურბანული „მერანია“ ნიკოლოზ ბარათაშვილისა, რომლისადმი მიძღვნილ შოთა ჩანტლადის ლექსში ვკითხულობთ: „სახით და სისხლით ნათესავი მე შენი მქვიან, / თუმც ქვეყანაზე შენზე უფრო გვიან მოველი [...] დედამიწაზე ბედნიერი ვიწყებ ხეტიალს / და ახალ მერანს მე დაგიწერ უფრო სხვაგვარად“ (ჩანტლადე, 1998, გვ. 67). ბარათაშვილის ლირიკული გმირი და მერანი, რომლებიც „უვალ გზებზე“ ერთვებიან ბედისწერასთან თავგანწირულ ჭიდილში („და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება“) შოთა ჩანტლადის პოეზიაში ტრამვაიდ ტრანსფორმირდება, რომელიც მრავალჯერ განვლილ მარშრუტზე, ლიანდაგებზეა დაბმული, თუმცა უცვლელი, განწირული სულისკვეთებით ცდილობს მისგან თავდაღწევას: „და შენც გარბიხარ, გარბიხარ, გარბიხარ / და გინდა, გინდა ძალიან გინდა / ლიანდაგებიდან ამოსხლტე უცებ, შეასკდე ბოძს / და თვითმკვლელობით დაამთავრო სიცოცხლე შენი“ (1998, გვ. 126).

შოთა ჩანტლადის ურბანული ლექსები არაეთვაროვანია. ხშირ შემთხვევაში მათში ამოიცნობა პოეტი - როგორც ბოდლერისეული პასიური დამკვირვებელი, რომელიც გამოდის ქუჩაში და ხშირად სტუმრობს ბაღებს, სადაც ის შთაბეჭდილებებით იტვირთება. თუმცა ლექსში „ტრამვაის“ პასიური მოხეტიალის მიერ აღქმული ქალაქის ნაცვლად, მკითხველის წინაშეა ექსპრესიონისტული ესთეტიკით განმსჭვალული ურბანული ლექსი, რომელშიც პოეტი არა დამკვირვებელი, არამედ ქალაქური დინამიკის უშუალო მონაწილეა. ბ. პაიკი შენიშნავს, ურბანულ ლიტერატურაში ქალაქი უბრალოდ კი არ ფიგურირებს, ან მხოლოდ მოქმედების არეალი კი არაა, არამედ ცხადად იგრძნობა მისი არსებობა (“The image of the city is [...] a presence and not simply a setting...”) (Pike, 1981, p. 8). ამგვარადვე, მკაფიოდ დამახასიათებელი სახეებით, პერსონაჟებით, ქუჩებით, ქალაქური სიტუაციებითა თუ ტრანსპორტით შოთა ჩანტლადის პოეზიის მთავარი ტოპოსი - ქალაქი - მკითხველის თვალწინ ცოცხლდება ქალაქის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის ხატი და ჩაესმის ქალაქური ხმები: ელექტრონებით დამუხტულ მავთულებზე ტრამვაის ფრთის შეხების ხმა და ტრამვაის ღრჭიალი.

შოთა ჩანტლადის ურბანულ პოეტიკას ხეტიალის ფენომენი ქმნის, რაც, თავის მხრივ, დამკვირვებლობასაც მოიაზრებს. პოეტი ხშირად სტუმრობს ბაღებს. მის პოეზიაში ორი მთავარი ბაღი ფიგურირებს: უნივერსიტეტისა და კიროვის

ბაღები. უნივერსიტეტის ბაღში, როგორც წესი ის ახალგაზრდების, სტუდენტების ჭკრეტაში და მათთან საუბარში ატარებდა დროს, კიროვის პარკში კი მთავარი გმირები შედარებით უფროსი ასაკის ადამიანები არიან. ქუჩაში და ბაღებში გამოსული პოეტი აკვირდება და ეძებს წასაკითხ ნიშნებს, პერსონაჟებს, რომლებიც ქალაქის ესთეტიკასა და ყოფით კულტურას ქმნიან: „ქალაქი გაფენილა მზეში; / კიროვის პარკში გამოსულან პენსიონერები, [...] და ეძებენ მიზეზს საუბრისას. [...] პარკში დასეირნობს პოეტიც, / უდიდის მზეს და ეშმაკურად ფიქრობს: / ხომ არ გამოდნება რაიმე ამ მზიდან?“ (ჩანტლაძე, 1998, გვ. 210).

ხეტიალის ხელოვნებად გარდაქმნის მაგალითად ფოტოგრაფიაში იმთავითვე იაპონელი ფოტოგრაფი, დაიდო მორიამა, გაახსენდება ფოტოგრაფიის მოყვარულს. მისი ფოტოგრაფიაც ორ რამეს ეყრდნობა: ქალაქსა და ხეტიალს, ან ერთი სიტყვით, ქალაქში ხეტიალს. ერთ-ერთ ინტერვიუში მორიამა შენიშნავს, რომ ქალაქის ქუჩებში მოხეტიალე, ქალაქზე დამკვირვებელი საკუთარი თავი მას მაწანწალა ძაღლს აგონებს. მისი ერთ-ერთი ცნობილი ნამუშევარი არის კიდევ ძაღლის პორტრეტი, რომელიც მორიამასათვის საკუთარ თავთან იგივეობის განცდას აღძრავს და საკუთარ ავტო-პორტრეტს ხედავს მასში. შოთა ჩანტლაძის ლექსში „ღამეა... ქარი დაქრის შლეგივით“ (1958) კვითხულობთ: „ქოხში შემოდის პატარა ძაღლი მეზობლის ეზოდან, / მეზობელმა რომ გამოაგდო უმიზეზოდა. / მოდი, მურია!..“ (ჩანტლაძე, 2010, გვ. 117). ამ ლექსში ურბანული თემატიკა არ ფიგურირებს, თუმცა, მორიამას მსგავსად, შოთა ჩანტლაძე არის პოეტი, რომლისთვისაც ბუნებრივი მდომარეობაა, საკუთარი ანარეკლი ემიოს და დაინახოს გარშემო მყოფ სულიერსა თუ უსულოში.

ქმნადობის პროცესის თვალსაზრისით, თუ კვლავ ფოტოგრაფ დაიდო მორიამას დავუბრუნდებით, საგულისხმოა, რომ მორიამა, შეიძლება ითქვას, ჩქარი ნაბიჯის ფოტოგრაფია. ის ქუჩებში სწრაფი ტემპით გადაადგილდება და ობიექტებს კონკრეტულ კადრზე დიდ ხანს არ აყოვნებს. ის სწრაფი კადრების მოყვარულია. ალბათ ეს ყოველივე იმითაც აიხსნება, რომ კადრების შექმნის პროცესში მორიამა ფეხს უწყობს ქალაქის რიტმს. მისი კადრები არაა „დავარცხნილი“, სიმეტრიული (ის ხშირად არც კი იყენებს ხედმძებნს (viewfinder)), არამედ მათში იგრძნობა ყოფიერების წამიერი გაელვების მოხელთების მცდელობა. მის ფოტო-სურათებში არეკლილია წამის მსწრაფლმავლობა. ქალაქის

წამკითხველი ფოტოგრაფის ნაბიჯისაგან განსხვავებულია ქალაქის წამკითხველი პოეტის ნაბიჯის ტემპი. შოთა ჩანტლაძე ნელი ნაბიჯის პოეტია, რადგან თუ ფოტოგრაფიაში ურბანიზმისაგან ნაკარნახევი შთაბეჭდილება სწრაფად გარდაქმნადია ციფრულ გამოსახულებად, ლიტერატურაში შთაბეჭდილების სიტყვად გარდაქმნის (სიტყვის გამჟღავნების) პროცესი ხანგრძლივია და პოეტის ნაბიჯიც შესატყვის ტემპო-რიტმს მოითხოვს („და დავატარებდი ფეხებს ამ ქალაქში / ნელა და შეჩერებით“ (2010, გვ. 120)).

ჩანახატში „როგორი ვარ მე“ პოეტი წერს: „სიარული ხან ძალიან ნელი, ხან ძალიან სწრაფი - ორივე შემთხვევაში დიდებული და დამპყრობლის მანიით“ (ჩანტლაძე, 1998, გვ. 347). მისი ლირიკული გმირიც ხშირად ასე, ნელი, დინჯი ნაბიჯით დადის ქუჩებში. 1949 წლის ლექსში „გაქანება“ ვკითხულობთ: „დინჯი ნაბიჯით მსურს ვიარო მშობელ მიწაზე, / იქნება სადმე შთაგონება წამომეწიოს“ (ჩანტლაძე, 1998, გვ. 59).

შოთა ჩანტლაძის ურბანული ლექსები მოძრაობის, გადაადგილების ტექსტებია. მის პოეზიაში ხშირად ვხვდებით შესაბამის ზმნებს: „დღესაც საკმაოდ ვინეტიალე, ქუჩები მოვვლე გუმინდებურად“ (2010, გვ. 78), „ხანდახან უმიზნოდ გამოხვალ სახლიდან“ (2010, გვ. 104). მოძრაობენ პერსონაჟებიც: „მიდიოდა ქუჩა-ქუჩა, ზეინკალი უჩაქუჩო“ (2010, გვ. 79), „ის ეხლა ქუჩას მომაკვდავის მიყვება ლაჯით/ არის მწუხარე, / დღეს მან მშობლები წააგო კარტში [...] ეხლა ქუჩაში ჩამოივლის კაცი ავჩარკით“ (2010, გვ. 95). მოძრაობა სურთ უსულო საგნებსაც: „და პლაშჩი კიდია დასაკიდებელზე, / ირხევა, წრიალებს, მწარედ იტანჯება, / გარეთ გასასვლელად რაღაც მიზეზს ეძებს, / ასეთ კარგ ავდარში სახლში ვერ დარჩება“ (2010, გვ. 103).

შოთა ჩანტლაძის ქალაქურ ლექსებში ვხვდებით: ტოპონიმებს - კიროვის ბაღს, ზოოპარკს, უნივერსიტეტის ბაღს, რუსთაველის პროსპექტს, მუხრანის ხიდს, ავლაბარს; ქალაქურ ტიპაჟებს - წყლების გამყიდველს რომელიც ტკბილ სასმელს ყიდის და ხალხს ტკბილად ემსახურება, პარიკმახერს, ავლაბრის სომხებს - მუდამ მოღიმართ, „თუმცა არასდროს დამთვრალებს და მოქეიფებს“ (1998, გვ. 75), ზეინკალს, რომელიც პაპიროს „ბელამორს“ აბოლებს, კიოსკის გამყიდველ კაროს თუ იოსკას, რომელიც ალისფერ „პრიმას“ ყიდის, ნაცნობ მერაბს, რომელიც პაპიროს „კაზბეკში“ ცვლის წითელ „პრიმას“, ნაცნობ ქალებს - თინას და გენრიეტას,

რომლებთან შეხვედრა და ახალი ამბების გადმოლაგება ერთმანეთისგან განუყოფელი პროცესია, დერეფანში შეხვედრილ მეზობელ ქალს, რომელსაც ქმარი დალატობს; ხმებს - „ტრამვაის ზარის ნერვიულ ხმას“, არღანის „მწარე ჭყავილს“; ქალაქურ სიტუაციებს - ახალი წლის ღამეს „გადაღეშილ ქალაქს“, სასაუზმეში დაღეულ არაყს და მოწეულ „პრიმას“, უცნობთან გამოლაპარაკებასა და შემდეგ ისევ დაუსრულებელ ხეტიალს: „მერე კი ყოჩაღად გამოვალ ქუჩაში / და სანამ გაივლის საათის ჩეთვერი, / ქუჩაში ვივლი კვლავ ასე ყოჩაღად, / მერე კი თანდათან შევთვრები. / ვივლი, ვიყიალე ქუჩიდან ჩიხებში / და შესახვევებში შევუხვავ“ (1998, გვ. 217).

პოეტი სიარულთან აიგივებს ცხოვრებას 1958 წლით დათარიღებულ ლექსში:

„ძილი - სიკვდილი,

წოლა - თვლელა,

ჯდომა - მთქნარება,

დგომა - სიფხიზლე,

სიარული - ცხოვრება,

სირბილი - სიგიჟე,

მოგ ზაურობა - სიკვდილი, თვლელა,

მთქნარება, სიფხიზლე, ცხოვრება, სიგიჟე“ (1998, გვ. 192).

უმიზნოდ ხეტიალის შემდეგ („დედა მეუბნება, რომ ვარ უსაქმური“ (2010, გვ. 108)) ჩანტლაძის პოეზიაში არსებობს საპირისპირო ყოფაც, ეს არის ლოგინი: „ფიქრებში იტყვი, ვერარა ვპოვე და / ნეტავი ხეტიალს უქმად რად უნდები [...] და საკუთარ თავს ეტყვი გულახდილად: / „შე გაჭირვებულო, გირჩევნია სახლში წაეთრიო“ (2010, გვ. 105), „მივემართები სრულიად უმიზნოდ, რადგან ერთადერთი გამაჩნია მიზანი: სასიამოვნოდ დავიღალო, რათა დავიძინო სასიამოვნოდ“ (2010, გვ. 107), „და დადგა მოსაწყენი ღამე. / ბოლოს ავტორი გვაძლევს მამაშვილურ დარიგებას: / წავიდეთ სახლში და დავიძინოთ, / რათა აღვიდგინოთ ენერგია, რადგანაც ხვალ ხელახლა მოგვიხდება ამ წიგნის წაკითხვა“ (2010, გვ. 121).

შოთა ჩანტლაძის შემოქმედების არც ერთი ნიმუში პოეტის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა (როგორც თავად ამბობდა, ოთხასი ლექსი ჰქონდა დაწერილი). მისი ხმა ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებიდან, ლიტერატორთა წრის

ტრიბუნებიდან არ ისმოდა. „ერთადერთი ტრიბუნა, რომელიც სიცოცხლეში არავინ დაუჭირა, თბილისის ქუჩები, უნივერსიტეტისა და ვერის ბაღები გახლდათ” - შენიშნავს მისი მეგობარი, პოეტი იზა ორჯონიკიძე (ჩანტლაძე, 1998, გვ. 384).

1921 წლამდე მეოცე საუკუნის ქართული პოეზიაში არეკლილია ევროპული მოდერნისტულ-ავანგარდისტული ტენდენციები: ინდივიდუალიზმი, ურბანიზმი, კრიზისულობის თემატიკა. ლიტერატურული მოდერნისტული ესთეტიკისათვის მხატვრული ურბანული გარემო ქალაქის მცხოვრების ფიზიკური თუ მჭვრეტელობითი გამოცდილების გადმოცემის და არა უბრალოდ კონკრეტულ სივრცით-გეოგრაფიული არეალის აღწერის საშუალებაა. 1921 წლიდან ევროპულ კულტურასთან კავშირი წყდება და მოდერნისტული ესთეტიკაც ქრება. 50-იანი წლების ბოლოს, როდესაც შოთა ჩანტლაძე წერს ურბანული თემატიკის ლექსებს: „ჩემი მაგიდის წიგნი“, „ტრამვაის (რეკვიემი)“, მისი სახით ქართულ პოეზიაში ბრუნდება ურბანიზმის, ინდივიდუალიზმის, პოეტის სამყაროსთან მიმართების გამოვლინებები. სახლიდან ქუჩაში გამოსული დამკვირვებელი პერსონაჟი მოდერნისტული ლიტერატურისთვის ახლობელი ფენომენია. როგორც რ. ლეანი წერს, დამკვირვებელი პერსონაჟი განსახიერებს მოდერნიზმში ორი მაგისტრალური საკითხის კვეთას: იგულისხმება ხელოვანი და ქალაქი, უფრო ზუსტად კი ხელოვანი ქალაქში (“The spectator as both observer and observed connects two major themes of literary modernism: the artist and the city combined as the artist in the city”) (Lehan, 2009, p. 7.) შოთა ჩანტლაძისათვის, დამკვირვებელი პოეტისათვის, ქალაქი ყოველდღიურ ძიებებთანაა დაკავშირებული. მისი შემოქმედება ევროპული მოდერნისტული ესთეტიკით განმსჭვალული, პიროვნული გამოცდილებების, ინდივიდუალური ძიებების პოეზიაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

მწერალთა სახლი/Writers' House of Georgia. (2018). შოთა ჩანტლაძის ლექსების კითხვა. Facebook. <https://shorturl.at/E5vIs>

ფირცხალავა, ნ. (2022). თბილისი როგორც ტექსტი. საზოგადოებრივი-ლიტერატურული ჟურნალი „არილი“, N7 (307).

შაჰნაზარი, გ. (2011). იქნებ... „ლიტერატურული გაზეთი“, N45.

ჩანტლაძე, შ. (1998). მე მოვალ. თბილისი: გამომცემლობა „ლიტერატურის მატანე“.

ჩანტლაძე, შ. (2010). 100 ლექსი. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“.

ხარბედია, მ. (2017). ბაღი და ხეტიალი, საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი „არილი“, N2 (256).

Lehan, R. (2009). *Literary Modernism and Beyond*. Louisiana State University Press.

Pike, B. (1981). *The Image of the City in Modern Literature*. Princeton: Princeton University Press.